15/07/2024

MES 5 24 0000862756

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)

წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია:
ნათელა ჩახაია- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
დეკანოზი გაბრიელ გულორდავა- სკოლის დირექტორი

შპს დეა:
ვერა ყურულაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლა:
ელისო დანგაძე- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ- ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლა:
რუსუდან დავითაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №181 საჯარო სკოლა:
მზია გიორგობიანი- სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია:
თავმჯდომარე:
ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრები:
ლიკა გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ კვანტიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს-დეა:
თავმჯდომარე:
თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო როსტომაშვილი (ხელოვნებისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ნინელი ცერცვაძე(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 05 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - დეაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. „სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N71983 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის №181 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ- ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ- ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილების თაობაზე, კერძოდ მან განაცხადა რომ აღნიშნულ დღის წესრიგში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ განხილული იყო 2024 წლის 21 ივნისის საბჭოს სხდომაზე. შესაბამისად დღის წესრიგიდან აღნიშნული საკითხი უნდა ამოღებულიყო.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - დეაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. „სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N71983 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის №181 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ- ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებ ლური სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 13 და 14 მაისს. სკოლა მდებარეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათში, ნარმანიას ქ.N1-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 140 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 140- მოსწავლისთვის.
ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველი, მეორე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორ „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის 3.2 კომპონენტი შეფასებული იყო, როგორც „ მეტწილად შესაბამისი”.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასლა და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. ნოდარ ანგურიძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა ყველა საჭირო აქტივობა და პროცედურა, დაწესებულების პრობლემას წარმოადგენდა მათი დოკუმენტაციაში ასახვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, კონკრეტულად რა განაპირობებდა სკოლაში დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, განაცხადა, აღნიშნული, მისი მოსაზრებით, განპირობებული იყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დეფიციტით.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში ასახული იყო მწირი რესურსები და მიმართა ექსპერტს დაეზუსტებინა, აქედან გამომდინარე, როგორ აღწევდა სკოლა სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ხათუნა ნოზაძის განცხადებით, სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. ასევე დაწესებულების წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ არაფორმალური განათლების ელემენტების გამოყენებაზე. მაგალითად: სკოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრული ჰქონდა სასკოლო პროექტი „დავიცვათ ბიომრავალფეროვნება“, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული მასწავლებლები და მოსწავლეები. ისინი ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს და ბუნებისმეტყველების სწავლის მიზნებისათვის, შესაბამისი თემის საჭიროებიდან გამომდინარე, იწვევდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. ექსპერტის განცხადებით, საავტორიზაციო ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მწირი რესურსითაც ახერხებდა აქტიურ მუშაობას.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს, ახორციელებდა თუ არა სკოლა რეფლექსიას კურიკულუმების დანერგვის შემდეგ.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა ნოზაძემ განაცხადა, რომ სკოლა მუშაობდა კურიკულუმების დახვეწაზე და მათში გარკვეული ცვლილებების შეტანაზე.

საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაითვალისწინეს თუ არა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევა, რომლის მიხედვითაც სკოლას უნდა ჩამოეყალიბებინა მისიის ერთი ვარიანტი.

სკოლის წარმომადგენელმა, ნათელა ჩახაიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ მისიასთან დაკავშირებით გაცემული რჩევები გაითვალისწინა და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით : „გიმნაზია ქმნის პოზიტიურ, კონკურენტუნარიან და სწავლისთვის მასტიმულირებელ გარემოს, რათა აღზარდოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ფიზიკურად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი და შემწყნარებელი მომავალი თაობა, რომელიც თავის პოტენციალს მოახმარს ეროვნულ მიზნებს.”

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, მისიის შინაარსიდან გამომდინარე, ხომ არ იზღუდებოდა სკოლის მხრიდან განსხვავებული რელიგიის მოსწავლეების მიღებისა და დაწესებულებაში თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის საკითხები.
სკოლის წარმომადგენელის, ნათელა ჩახაიას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება წარმოადგენდა მართმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას, დაწესებულებაში, არ იზღუდებოდა სხვა აღმსარებლობის მქონე მოსწავლეების, მასწავლებლების თუ სხვა პერსონალის მიღება.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, ასევე დაინტერესდა როგორ მიმდინარეობდა სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება და ახორციელებდნენ თუ არა მოსწავლეები სავალდებულო პროექტებს.

ექსპერტმა, ხათუნა ჯიმშიაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა საკმაოდ მოწესრიგებული კურიკულუმები და ამასთან, ვიზიტის პერიოდში ინტერვიუდანაც გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს მოცემულ დოკუმენტებში ასახული აქტივობები ნამდვილად ჰქონდათ პრაქტიკაში განხორციელებული. სკოლაში ფუნქციონირებდა ისეთი კლუბები და წრეები, როგორიცაა ეკო-კლუბი „კოდალა“ და კლუბი - „ხელმარჯვე ოსტატები“. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას მიეცა რჩევები კომპლექსური დავალების პირობის გამრავალფეროვნებისა და თემებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიისავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140 - ით განსაზღვრის საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 05 ივლისი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:35

დასრულების დრო: 16:40

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მეორე და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას (ს/კ: 419987474) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 05 ივლისი.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, ნარმანიას ქ.N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, ნარმანიას ქ.N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, ნარმანიას ქ.N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ივლისში 3.2 კომპონენტთან მიმართებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება. კერძოდ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის წარმოდგენა ცენტრში.

2. შპს - დეაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 2024 წლის 29 აპრილს შპს დეაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი. სკოლა მდებარეობდა თბილისში, კრისტოფერო კასტელის ქუჩა N9-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 298-ს.
ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს დეას სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამისობის შეფასება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან.
თამარ მიდელაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და ყველა კომპონენტი შეაფასა როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს. მან ასევე ისაუბრა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე, რომლებიც გამოვლინდა სპორტისა და უცხოური ენების კურიკულუმებში შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით: 2.1.2.1 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 2.1.2.2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 2.1.2.3 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 2.1.2.5 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური). საგნობრივი ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით: 2.1.2.1.

(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 2.1.2.2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 2.1.2.3 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური), 2.2.2.1. (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური).
ექსპერტმა გააზიარა შენობის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო შესაბამისი გარემო სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის. სკოლისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა მოსწავლეთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული კლუბურ მუშაობაში. სკოლის ეკო - კლუბი წლების განმავლობაში იყო ნიკო კეცხოველის სახელობის პრემიის ფინალისტი. დაწესებულება, ასევე ჩართული იყო Microsoft Showcase სკოლის პროექტში და ამ მიმართულებით ახორციელებდა ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა კვლევა (პროგრამის მენტორის მიერ შედგენილი კითხვარის საფუძველზე). შედეგების ანალიზი და ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა კი მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებების მიხედვით: სწავლა-სწავლება, მოსწავლის და სკოლის წარმატება, ჭკვიანი გარემო, ლიდერობა და პოლიტიკა; ასევე, საგანმანათლებლო თემებზე მასწავლებელთა ონლაინ შეხვედრები ტარდებოდა ეგვიპტის, სლოვაკეთის, ირლანდიის, პაკისტანის, ვიეტნამის, იტალიისა და ინდოეთის სკოლების მასწავლებლებთან ერთად. რაც შეეხებოდა მოსწავლეებს, მათ ჩამოაყალიბეს ეკო-კლუბი და სკოლის კონსტიტუცია, ასევე შექმნეს “რესპუბლიკა”.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით გაცემული რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა რას გულისხმობდა „მოსწავლეთა რესპუბლიკა“ .

სკოლის წარმომადგენელის, ვერა ყურულაშვილის, განაცხადებით, სკოლის თვითმართველობის გადაწყვეტილებით მოსწავლეთა საზოგადოებას დაერქვა აღნიშნული სახელი. მოსწავლეებმა შეიმუშავეს გარკვეული წესები, რომლის ფარგლებშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. კერძოდ, საშუალო საფეხურის მოსწავლეები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ატარებდნენ სხვადასხვა შეხვედრებს და პრეზენტაციებს აქტიურ თემატიკაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ყურადღება გაამახვილა ერთ-ერთ კომპლექსურ დავალებაზე, კერძოდ, “ არაბთა სახალიფოს ჩამოყალიბება და საქართველო“ და განაცხადა რომ მასში მოცემული ცნებები იყო საკმაოდ მოცულობითი და აღნიშნული დავალება ვერ დაფარავდა მათ. საბჭოს თავმჯდომარემ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა ამ და სხვა გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ასახული იყო საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა ჯიმშიაშვილმა, განაცხადა, რომ მსგავსი შემთხვევები ფიქსირდებოდა ყველა საგანში, რომელიც ერთიანდებოდა საზოგადოებრივ მეცნიერებებში და შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევებიც იყო საკმაოდ მოცულობითი. მაგალითად დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების გარკვეული კლასების კურიკულუმების ნაწილში არ მუშავდებოდა ყველა სამიზნე ცნება, კომპლექსური ტიპის დავალებების ნაწილში არ ჩანდა, რა პროდუქტი უნდა შეექმნათ მოსწავლეებს, ასევე, ზოგიერთ კურიკულუმში არ იყო მითითებული რომელი ძირითადი და

დამხმარე რესურსების საშუალებით განახორციელებდა მასწავლებელი კომპლექსურ დავალებას და სხვა. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ესაჭიროებოდა ბევრი მუშაობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენელმა, ვერა ყურულაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლა მუშაობდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებზე და ახალი სასწავლ წლის დაწყებამდე გეგმავდა კურიკულუმების ახალი და გაუმჯობესებული ვერსიების შემუშავებას.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმები მეთერთმეტე კლასის სამოქალაქო განათლებისა და მეათე, მეთერთმეტე კლასების სავალდებულო პროექტები. საბჭოს წევრმა საგნობრივ ექსპერტს სთხოვა, მეტი დეტალი წარმოედგინა და დაეზუსტებინა რა ეტაპზე იყო ამჟამად მოცემული საკითხი.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა ჯიმშიაშვილმა, აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სკოლას ესაჭიროებოდა მეტი სამუშაო, მისი მოსაზრებით, შესაძლოა აღნიშნული განპირობებული იყო კადრების ცვლილებით. ექსპერტის განცხადებით, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტები, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფს არ უნახავს. მიუხედავად ამისა, დაწესებულება გამოირჩეოდა მზაობით და გეგმავდა ყველა რჩევის გათვალისწინებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ირინა გოგონაიამ, აღნიშნა, რომ სკოლა რეალურად მუშაობდა ძალიან ბევრს, თუმცა არ ხდებოდა ყველაფრის ასახვა დოკუმენტებში. მაგალითისთვის, სკოლა ატარებდა სასკოლო კონფერენციას პრიორიტეტული მიმართულებებით: ჯანსაღი ცხოვრება და გარემოს დაცვა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. ექსპერტის თქმით, ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა განხორციელებული კონფერენციის პროგრამა, რის წარმოდგენაც სკოლამ ვერ უზრუნველყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა კათედრების მუშაობასთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენელმა, ვერა ყურულაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებულ კათედრებს შორის იყო საკმაოდ კოლეგიალური, თანამშრომლობითი ურთიერთობა და ისინი ყოველთვის უზიარებდნენ ერთმანეთს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დეასმონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 05 ივლისი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:00

დასრულების დრო: 17:10

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს დეას (სკ: 200055992) მონიტორინგთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 05 ივლისი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგიექსპერტთა ჯგუფის შექმნით**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ივლისამდე;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები -მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

3.„სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შეს ახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრი ს N71983 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ „სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N71983 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ,

საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის საიდენტიფიკაციო კოდად დაფიქსირებული იყო - 21300036 ნაცვლად 221300036 -სა. შესაბამისად, მიზანშეწონილი მიზანშეწონილი იყო აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობები. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N71983 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N71983 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1.სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლას (ს/კ: 221300036) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;“

4.სსიპ-ქალაქ თბილისის №181 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ ების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან
განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №181 საჯარო სკოლას 2023 წლის 09 ნოემბრის N1519761 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, ცენტრში წარმოედგინა შენობის უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნა, თანამშრომელთა ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების პირად საქმეებში განთავსებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტები.

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომში მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - ქალაქ თბილისის №181 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

5.სსიპ- ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლას 2023 წლის 22 სექტემბრის N1222127 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, ცენტრში წარმოედგინა ექიმის თანამდებობაზე მყოფი პირის კვალიფიკაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ექიმის კვალიფიკაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის და ვებ გვერდზე მოთხოვნილი ინფორმაციის ქართულ ენაზე ასახვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულებამ წარმოადგინა ზემოხსენებული დოკუმენტაცია, ამასთან საშტატო განრიგი, სადაც სკოლას განსაზღვრული აქვს ექთნის შტატი, ექთნის საგანმანათლებლო დოკუმენტი და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული დოკუმენტაცია მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა ჰყავდა თუ არა სკოლას ექიმი.

სკოლის დირექტორმა, რუსუდან დავითაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ოჯერ გამოაცხადა კონკურსი ექიმის ვაკანტური ადგილისთვის, თუმცა ორივე მათგანის წარუმატებლად დასრულების შემდეგ, სკოლამ უზრუნველყო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ექთნის საშტატო ერთეულის შეთანხმება და ექთნის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის აყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ-ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა